დამტკიცებულია

თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მარტის N #24/7 დადგენილებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

თსსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის

პროდუქტიულობის შეფასების წესი

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის **პროდუქტიულობის შეფასების მიზანია** ხელი შეუწყოს თსსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევითი პოტენციალის გაზრდას, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებას, კვლევის თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარებას, მკვლევართა ახალი თაობების მომზადებას და გააძლიეროს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხი და მნიშვნელობა როგორც რეგიონულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის **პროდუქტიულობის შეფასება** ხორციელდება თვითშეფასების გზით, სპეციალურად შემუშავებული კითხვარით, რომელიც ითვალისწინებს კვლევითი საქმიანობის შემდეგ კომპონენტებს:

- სტატია იმპაქტ–ფაქტორის მქონე სამეცნიერო პერიოდიკაში,
- სტატია საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად პერიოდიკაში,
- სტატია ადგილობრივ სამეცნიერო რეფერირებად პერიოდიკაში,
- მონოგრაფია / წიგნი,
- თავი წიგნში/ კრებულში (საერთაშორისო გამოცემა),
- თავი წიგნში/ კრებულში (ადგილობრივი გამოცემა),
- მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში,
- პუბლიკაცია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/კონგრესის/სიმპოზიუმის მასალებში,
- მონაწილეობა ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებაში,
- პუბლიკაცია ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის/კონგრესის/სიმპოზიუმის მასალებში,
- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები (გამოგონებები, პატენტები),
- საგრანტო დაფინანსების კვლევის ხელმძღვანელობა,
- საგრანტო დაფინანსების კვლევაში მონაწილეობა,
- კვლევის წარდგენა საგრანტო დაფინანსებისათვის,
- **მონაწილეობა საერთაშორისო რანდომიზებულ კლინიკურ კვლევაში,**
- **მონაწილეობა ეროვნულ კლინიკურ კვლევაში,**

- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა,
- სადოქტორო კვლევის ხელმძღვანელობა (აქტიური სტუდენტის შემთხვევაში),
- საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა,
- ადგილობრივი რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა,
- რეცენზირება საერთაშორისო პუბლიკაციისთვის,
- კვლევითი პროექტის საექსპერტო შეფასება,
- სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლები (c, h index).

2. კითხვარს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურთან ერთად, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან კონსულტაციის გზით.

3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების კითხვარის შედეგების ანალიზის საფუძველზე ამზადებს ანგარიშს და სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურთან ერთად, ადგენს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმას.

4. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლები სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურის მიერ აისახება ორენოვან (ქართულ და ინგლისურ ენაზე) ელექტრონული პორტალში.

5. შეფასების შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის სამეცნირო-კვლევითი საქმიანობის დაგემვისა და შემდგომი განვითარებისთვის.

6. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების კითხვარი შემუშავდება 2018 წლის პირველი ოქტომბრისათვის. შეფასების პირველი ციკლი დაიწყება 2019/20 სასწავლო წლიდან.